8
1965

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ზ. ფორჩხიძისა




— რაშია საქმე, ყოველთვის გვიშვებდნენ?!
— ნაბრძანები გვაქვს, დღეიდან არავითარ შემთხვევაში არ გამოგიშვათ!

№ 20 (1222) თბილისი ოქტომბერი 1965

# ნიანგი

გამოცემის 43-ე წელი. ფასი 20 კაპ.

# ნიანგის ფოსტა

„გვიშველეთ, დაგვეხმარეთ! ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეს არა ჰყავს ექიმი, მკურნალობის საშუალებას მოკლებულნი ვართ!“ — განგაშს ტეხდა ვინმე შ. მახარაძე.

„ნიანგს“ შეებრალა კვირიკელები და წერილი ზომების მისაღებად პარტიის ქობულეთის რაიკომს გადაუგზავნა. როგორც რაიკომის მდივანი ამხ. სიორიძე გვატყობინებს, თურმე, სოფელ კვირიკეში მუშაობს ერთი თერაპევტი, ერთიც სტომატოლოგი და ხუთი ექთანი.

ეტყობა, შ. მახარაძე თავისი სოფლის ნამეტანი „პატრიოტია“, ამიტომ ვიშუამდგომლეთ ჯანმრთელობის სამინისტროს წინაშე, რათა კვირიკეში დამატებით გაიგზავნოს კიდევ ორი თერაპევტი, 32 სტომატოლოგი (თითო კბილზე — თითო), აგრეთვე, ექთანები მოთხოვნილების მიხედვით. თუკი შ. მახარაძე ამდენ ექიმსაც ვერ დაინახავს, მაშინ საჭირო იქნება თვალის ორი სპეციალისტის გაგზავნაც.

* * *

ბათუმის რაიონიდან ნ. თავდგირიძე გვწერდა: „სოფელ ხელვაჩაურის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა მ. ზოიძემ, რომელსაც 4 კლასის განათლება აქვს, გამოიყენა თავისი ძმის — ი. ზოიძის რვა კლასის დამთავრების მოწმობა და 1962 წელს ჩაერიცხა მეცხრე კლასში. სკოლაში მ. ზოიძე არ სწავლობდა, გამოცდები მასწავლებლების დახმარებით ჩააბარა და სიმწიფის ატესტატიც ასე მიიღო“.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტიდან, შემოწმების შემდეგ, გვაცნობეს, რომ მ. ზოიძეს არ შეეძლო გამოეყენებინა თავისი ძმის — ი. ზოიძის რვა კლასის დამთავრების მოწმობა, რადგან, ამ უკანასკნელს, მხოლოდ ორი კლასის განათლება აქვსო.

თუ ნ. თავდგირიძემ ორამდე თვლა არ იცის, ერთხელ მაინც გაზომოს და ისე გაჭრას.

* * *

ჩვენი ჟურნალის 1965 წლის მე-18 ნომერში დაბეჭდილი ქ. ისაკაძის იგავ-არაკი — „როცა ვირთხა დირექტორობს“ არ არის კონკრეტული და, ამდენად, იგი სრულიად არ ეხება არც აგარის შაქრის ქარხანასა და არც ქარხნის დირექტორს ამხ. თ. ს. ტაბუცაძეს.



ნახ. ჯ. ლოლუასი

— ეს დისერტაცია კი დავაწერინე სხვას, მაგრამ დაცვა არ უნდა?!
— დამცველიც აიყვანე, შე კაცო!

## „მამაჩემი ღვინოს სვამს!..“

„ძვირფასო რედაქციავ! ვარ რვა წლის. მქვია ბუთხუზი. ეს-ესაა ვისწავლე წერა და პირდაპირ თქვენ მოგმართავთ. სხვა გზა არა მაქვს. იცით, მამაჩემი ღვინოს სვამს. მოდის შუაღამისას მთვრალი, ტაშს უკრავს და მაცეკვებს. დედაჩემი ეხვეწება, მე ვიცეკვებო, მაგრამ მამა არ შვრება. მერე გვეხვევა ორივეს და ტირის. დედა ვერ იტანს ღვინის სუნს და ცუდად ხდება. ბოლოს, შალვა მამა აბაზანაში წვება და იქ ხვრინავს. საწყალი დედაჩემი თავზე ადგას, არ ჩაიხრჩოსო.

ოჰ, ერთი გავიზარდო! მილიციელი გამოვალ და მამაჩემს ვაყურებინებ სეირს! მაგრამ, მე, მანამდე, რა ვქნა? იქნებ, მირჩიოთ რამე?!“

რედაქცია აღაშფოთა ამ შემაძრწუნებელმა ფაქტმა და მორიგ ნომერში გაჩნდა სტატია სათაურით: „პატარა ბუთხუზი ხმას იმაღლებს ოჯახური უსამართლობის წინააღმდეგ!“

ბუთხუზს უჭირსო! — წვიმასავით წამოვიდა წერილები ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

„ბუთხუზის სიცოცხლე საფრთხეშია! — წერს რედაქციას მოწინავე მწველავი ქალი შორეული რაიონიდან. — იმის მაგივრად, რომ ტკბილად ეძინოს, ღამეს ცეკვაში ატარებს. ბავშვს დროზე უნდა მიხედვა! ხომ შეიძლება, ისიც მამის კვალს გაყვეს?!“.

„თუ მამაშენი არ გამოსწორდა, ჩვენი კარი მუდამ ღია იქნება შენთვის!“ — ამხნევებს ბავშვს სკოლა-ინტერნატის პედკოლექტივი.

„რატომ უნდა ოცნებობდეს ბუთხუზი მილიციელობაზე?! — კითხულობს ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის ხელმძღვანელი. — ბავშვს თუ ცეკვის ნიჭი აქვს, ჩვენ მივხედავთ, ამხანაგო შალვა!“

„შენც აღიმაღლე ხმა, უცნობო დაო! — სოლიდარობას უცხადებს ბუთხუზის დედას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ქალი, — ღვინის მსმელი ქმარი მიტოვების ღირსია!“

„დროზე გამოფხიზლდი, შალვა! — ასეთი სიტყვებით მიმართავს გზასაცდენილ მამას შორეული ნაოსნობის მეზღვაური. — ღვინოზე ნუ გაცვლი ოჯახს. შენი შეგნებული სიცოცხლე კიდევ საჭიროა ჩვენი მშობლიური სამშობლოსათვის!“

„ღვინო ქვევრებს ხეთქავს, შალვა! — აფრთხილებს ლიმონათის ქარხნის მთავარი ტექნოლოგი. — რა გაგიჭირდა ასეთი. განა, სხვა სასმელი წვენი არ არსებობს ქვეყნად?!“

რედაქციამ, რა თქმა უნდა, ეს ამაღელვებელი გამოძახილებიც გამოაქვეყნა.



ახმაურდა ქუჩები, შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა, ყველა შესძრა პატარა ბუთხუზის ბედზე ფიქრმა.

შენს მტერს, რაც შალვას დღე დაადგა! ცოლის საყვარელმა ნათესავებმა ზურგი შეაქციეს, მეზობლებმა ეზოში საქვეყნოდ დაამუშავეს, სამსახურში უკანასკნელი გაფრთხილება მისცეს, მილიცია დაჭერით დაემუქრა...

შალვამ შეიგნო დანაშაული, სათოფეზე აღარ ეკარება ღვინოს, არაყზე გადავიდა.

ჯარი ჯარალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# [illegible]

ყველაფერს ტკბილად იგონებ,
შეუძლებელი შესძელ,
შენ უძებნელად იპოვნე,
რასაც სხვა წლობით ეძებს.

არაფერზე არ ბრაზდები,
არაფერი არ მოგწონს,
დაუმარცხებლად არსებობ,
გაუმარჯვებლად ცოცხლობ.

ყოველი გიიოლდება,
ვერავინ გნახავს მტირალს,
არასოდეს არ ღონდები,
არაფერი არ გტკივა.

სამშობლო შენთვის ბაღია,
კრეფ და ჭამ, რასაც გინდა,
მაგრამ კაპიკის საღირალს
არას უკეთებ იმ ბაღს.

მამულის ქება-დიდება
სადღეგრძელოში გიყვარს,
მე გეტყვი გაგიჭირდება? —
მზად გაქვს ლამაზი სიტყვა!

განათლებაზე თავსა სდებ,
უკან არ იხევ ოდნავ,
ყურმოკრულ ამბებს ასაღებ
უნივერსალურ ცოდნად.

არ იცი „არსენას ლექსის"
შინაარსიც კი მოკლე,
წამდაუწუმ კი ახსენებ
პიკასოსა და ფოლკნერს.

ჰეგელს ხელს ისე წამოჰკრავ,
აქ არაფერი, თითქოს!
შეხვედრაზე ხომ გამოხვალ,
დისპუტზე სიტყვას ითხოვ.

ყველგან ცხვირსა ჰყოფ, სადაც
გსურს,
ეწევი „მწერლის შრომას"
და რუსულიდან ინგლისურს
„თარგმნი" ვეება რომანს.

ზოგჯერ ბეჭდვასაც ახერხებ,
მაშინ ცხვირს მაღლა იწევ,
გამვლელებს შენკენ ახედებ,
ოჯახში ტრაბახს იწყებ.

ნაცნობები გყავს ამდენი,
წიგნი დაბეჭდე უკვე!
პათეტიკური წარწერით
მთელ ტირაჟს ასაჩუქრებ.

სხვის კარგზე ველარ ისვენებ,
არ გინდა, ვინმე გიქონ,
გენიოსობას იჩემებ,
გამორჩენაზე ფიქრობ.

არისტო კრატია

ნახ. მ. აბაშიძისა



უტექსტო ხუმრობა

## უბრალო არითმეტიკა

ბანკის მოლარედ ვმსახურობ. მუშაობის 14 წლის სტაჟი მაქვს. თამბაქოს წევისა კი—ორჯერ მეტი. მის მავნებლობაზე ოცდათორმეტი ტომი მექნება წაკითხული. ბევრჯერ ვცადე თავის დანებება, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

ახლა აღარ ვეწევი.

როგორ მოვახერხე? უბრალო არითმეტიკის წყალობით:

თავიდან ვეწეოდი „პრიმას", შემდეგ, ნიკოტინის დოზის შემცირების მიზნით, „თბილისს" ან „ლაგოდეხს".

„პრიმა" ღირს 14 კაპიკი. ვიხდიდი თხუთმეტს (ისევე, როგორც თქვენ). დღეში მჭირდებოდა 2 კოლოფი, ე. ი. თვეში ზედმეტი ხარჯი შეადგენდა 60 კაპიკს.

„ლაგოდეხი" ან „თბილისი" დღეში მჭირდებოდა 3 კოლოფი, რადგან კოლოფში 5-6 ცალი სიგარეტი უვარგისია. ისევე, როგორც თქვენ, 18 კაპიკის ნაცვლად, მახდევინებდნენ ოც კაპიკს. თვეში ეს შეადგენდა 1 მანეთსა და 80 კაპიკს. წელიწადში — 21 მანეთსა და 60 კაპიკს.

ახლა გაითვალისწინეთ კაპიკიანი ასანთის ღირებულებაც!

ეს უკვე აღემატებოდა ჩემს ბიუჯეტს და ამან მაიძულა თამბაქოსათვის თავი დამენებებინა.

ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო ვაჭრობის ზოგიერთ მუშაკს, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია — ერთი მხრით, უეჭველ კიბოს გადამარჩინეს, მეორე მხრით, — სისხლის სამართლის დანაშაულს — გაფლანგვას.

გ. კონტრიძე

# უცხოური იუმორი

### უნგრული

— გავიგე, რომ თქვენ საკუთარ ვაჟს სცემთ.
— დიაღ, თავდაცვის მიზნით.

ბიუროკრატი (მომსვლელს): რამდენჯერ გითხარით, ამ საქმისათვის ხვალ მოდითმეთქი, თქვენ კი ყოველთვის დღეს მოდიხართ!

ქმარი: შენ არასოდეს ყოფილხარ ჩემი ერთგული!

ცოლი: ცდები, ძალიან ხშირად!

თარგმნა ლ. ჭავჭავაძემ

### ინგლისური

მუხლში ტყვიით დაჭრილ ოფიცერს ქირურგმა რამდენიმე ადგილას გაუჭრა ფეხი. ტკივილებისაგან მოთმინებადაკარგულმა ოფიცერმა ჰკითხა, თუ რატომ ჭრიდნენ და ჩეხდნენ მას ასე უმოწყალოდ.

— ტყვიას ვეძებთ!

— ადრე გეთქვათ, თქვე დალოცვილებო, ტყვია აგერ მაქვს, ჯიბეში!

თარგმნა ნ. მამაცაშვილმა

პროფესორი: გაალვიძეთ ეგ ყმაწვილი, გვერდით რომ გიზით!

სტუდენტი: მობრძანდით და როგორც დააძინეთ, ისე გაალვიძეთ!

მასწავლებელი: რა ფორმისაა დედამიწა, ჯონ?

ჯონი: მრგვალი, მასწავლებელო!

მასწავლებელი: საიდან იცი, რომ მრგვალია?

ჯონი: კარგი, ბატონო, ოთხკუთხედი იყოს, ოღონდ ნუ დამაწყებინებთ ახლა ამის მტკიცებას.

თარგმნა ზ. გემაზაშვილმა

### პოლონური

კრება ძალზე გაჭიანურდა. ორატორის სიტყვას დასასრული არ უჩანდა. უმრავლესობამ დასაწყისიც ვერ გაიგო. ბევრს ეძინა, ბევრიც თვლემდა. უკანა რიგიდან ქალი წამოდგა და გასასვლელისაკენ გაემართა.

— პანი ევა, სად მიდიხართ? — შეეკითხა თავმჯდომარე.

— ბავშვები უნდა დავაძინო!

ევას მარიანამ მიბაძა.

— თქვენ საით?

— როგორ თუ საით! განა, ჩემი ბავშვები მთვარეულები არიან?

შემდეგ გლორა წამოდგა.

— კი მაგრამ, თქვენ ხომ ბავშვები არა გყავთ, სად მიგეჩქარებათ? — შეეკითხა გაკვირვებული თავმჯდომარე.

— სულ კრებაზე თუ ვიქნები, ბავშვები არასოდეს არ მეყოლება. — უპასუხა გლორამ.

თარგმნა ვ. ჟღენტმა



ნახ. ა. კადელაკისა


— გეგმის შეუსრულებლობისთვის მე მხსნიან, ამას კი ტოვებენ!

ნახ. ნ. მალაზონიასი.


— ზევიდან რეკავენ, რა პროდუქციას უშვებთო, რა ვუთხრა?
— არ ვიცი, ბატონო, მეც ახალი კაცი ვარ, 10 წელია, რაც ვმუშაობ!

ნახ. ა. კადელაკისა


— რა მოუვიდა ჩვენს ინჟინერს?
— ძველ ჩარხს ვერ აალიტებს და ჩარხიანად აგდებენ!

ნახ. დ. გაშელიშვილისა


— ძია, შეიძლება გურგუშელა წავიღოთ?
— თუ გინდათ, ეს ჩარხიც წაიღეთ, მაინც ვერაფერი გავუგე!

ნახ. ჟ. ლოლუასი


— ეს მოქანდაკე შივაა?
— არა, ჩვენი მრავალდარგოვანი წარმოების ყოფილი დირექტორია!

ცოლს ვუყიდე ... პალტო,
... შეკერილი,
ხელჩანთის და ქუდის ფერთან
შეხამებულ-შეფერილი.

იარლიყზე რომ დახედა,
ტანზე აღარ მოიზომა,
თბილისური არ იკადრა,
უცხოური მოინდომა.

ჩვენი ჯობს-თქო, რომ
ვუთხარი,
კინაღამ თმით დამითრია,
(ისეც ორი ღერი თმა მაქვს,
შიშით ველარ დამითვლია).

რა არ მითხრა, რა არ მკადრა,
რა ცეცხლში არ გამატარა,
ბუზღუნით და წყევლა-კრულვით
პალტო უკან გამატანა.

უკან აღარ ჩაიბარეს,
მაგრამ მაინც შემიბრალეს,
თბილისური იარლიყი,
უცხოურით შემიცვალეს.

უნდა ითქვას, გამომადგა,
ეს ხუმრობა უნებური,
კვლავ მივართვი ჩემს ცოლს
პალტო
„გადაუცხოურებული".

სიხარულით ცას ეწია,
ჯერ მე მეცა, მერე პალტოს,
ვაი, უცხოური მოდით
გადარეულ ცოლის პატრონს!

ზრ. ჩიქვილაძე



წელს, „აფხაზკავშირისა" და „სოხუმმრეწვავაჭრობის" ბაზებმა თავისებური რეკორდი დაამყარეს და სხვადასხვა წარმოებებს, დაახლოებით 50.000 მანეთის ჯარიმა წარუდგინეს.

თბილისში არის ფაბრიკა „ივერია", რომელიც პარფიუმერიულ და კოსმეტიკურ ნაწარმს ამზადებს. ცხადია, რაც უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვს ქალს, მით უფრო მეტ ყურადღებას აქცევს თავის თავს და, რა თქმა უნდა, მეტ ნელსაცხებელსაც იძენს. სად იქნება იმდენი დამსვენებელი ქალი, რამდენიც შავი ზღვის სანაპიროებზე? ასე რომ, „ივერიისათვის" გასაღების საუკეთესო ბაზარი კურორტია. ალბათ, ამ ლოგიკამ უკარნახა „ივერიის" ხელმძღვანელებს აფხაზეთში ორი ათას ას სამოცდათხუთმეტი მანეთის პარფიუმერიული ნაწარმი გაეგზავნათ. თქვეს და გაგზავნეს კიდეც, მაგრამ ხელები გაასავსავეს სოხუმში: სადა გვყავს თქვენი დასამახინჯებელი ქალებიო. ალბათ, არ იცის „ივერიის" ხელმძღვანელობამ, რომ არც ერთი ქალი ნებაყოფლობით თავს არ დაიმახინჯებს. აწი მაინც ეცოდინებათ, მით უმეტეს, რომ ამ საქმისათვის ოთხასი მანეთით დაჯარიმდნენ.

თუმცა აფხაზეთში ზამთარშიც კი გაზაფხულია, მაგრამ „საქბეწვქურქმა" მაინც გააგზავნა ას ორმოცდაათი ქურქი ზღვისპირეთში, ჩრდილოეთიდან ბევრი დამსვენებელი ჩამოდის და ჩვენს ნაწარმს რომ ნახავს, აუცილებლად იყიდისო. ისე, კაცმა რომ თქვას, ძვირად კი არ შეუფასებიათ თავიანთი ქურქები: სულ 290 მანეთად ცალი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქონელმა ვერ დაამშვენა აფხაზეთის მაღაზიის ვიტრინები — ყველა უხარისხო აღმოჩნდა და ნაცვლად ოთხი ათას სამას ორმოცდაათი მანეთი მოგებისა... „საქბეწვქურქი" შვიდას ოთხმოცდაშვიდი მანეთითა და 35 კაპიკით დაჯარიმდა.

აბა, რაღა დროის ნავთქურებია ახლა, მაგრამ ხან დენი არ იქნება და ხანაც გაზის ბალონი. სწორედ ასე იფიქრა ბათუმის მექანიკური ქარხნის ხელმძღვანელობამ და ას სამოცი ცალი ნავთქურა გაგზავნა აფხაზეთში. აბა, ჰა, იაფი და იორღა! თქვენ 160 ცალი ნავთქურა, ჩვენ კი ექვსას ოცდაათი მანეთიო! გასინჯეს ნავთქურები, უხარისხოდ დამზადებული გამოდგა და გადასძახეს აფხაზეთიდან აჭარაში: ჯარიმაა, ჯარიმა გადაიხადეთ ას რვა მანეთიო.

ბათუმის მექანიკურ ქარხანას არც ელექტრომექანიკური ქარხანა ჩამორჩა და ოთხას ორმოცდაათი დაწუნებული სარეცხი მანქანისათვის შვიდას ოთხმოცი მანეთის ჯარიმა გადაიხადა. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ბათუმმა, ამ მხრივ, მართლაც ისახელა თავი. გარდა ზემოაღნიშნული ქარხნებისა, დაჯარიმდნენ ბათუმის ხისგადამმუშავებელი კომბინატი, №5 სამკერვალო ფაბრიკა და ფეხსაცმელების ფაბრიკა. მართლაც და, ერთი პატარა ქალაქისაგან კაცი მეტს რას მოითხოვს.

გუდაუთის ლურსმნის ქარხნის დირექციამ წინდახედულება გამოიჩინა: ტრანსპორტის ხარჯებს მოერიდა და თავისი პროდუქცია შორს აღარ წაიღო. მაგრამ რა! არც მინაურებმა დაინდეს და რვა ათასი კილოგრამი ლურსმანი წუნად ჩაუთვალეს, რისთვისაც ქარხანამ ჩაუთვალა - სოხუმმრეწვავაჭრობას შვიდას ორმოცდაათი მანეთი ჯარიმის სახით.

ახლა გუდაუთელ მელურსმნეებს გადაწყვეტილი აქვთ მოწოდება გააკრან წარწერით: „ვიბრძოლოთ მაღალი ხარისხის ლურსმნებისათვის!". მაგრამ, ერთირამ აბრკოლებთ: ვაითუ, მათი გამოშვებული ლურსმნებით ეს მოწოდება კედელზე ვერ მიაჭედონ!

გ. მეტრეველი

„რომ მკითხო დავითაო!.."

კაბინეტის შეთვალიერებაც ვერ მოვასწარი, რომ შუახნის, დამჭკნარმა კაცმა კარები დაუკაკუნებლად შემოაღო და თავი გამაცნო: თქვენი მოადგილე ვარო. ხაცოდავი, ალბათ, ძლიერი ქარის დროს ჯიბეებში ქვებს იწყობს, რომ ქარმა არ წაიღოს-მეთქი, გავიფიქრე და, რა დაგიმალოთ, შემეცოდა კიდეც, მაგრამ, ბაზაში მითხრეს, თქვენს მოადგილეს იმდენი ფული აქვს, მტკვარს დააგუბებსო. არ დამცალდა დავრწმუნებულიყავი ნათქვამის სისწორეში.

ბევრი ოფლისღვრა დამჭირდა, სანამ საქმეს სწორი გზით წავიყვანდი. მექრთამეობას, ქურდბაცაცობასა და თაღლითობას სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადე. მოკლედ, ბაზაში იდეალური წესრიგი დავამყარე, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, მთავარი ეს არ ყოფილა.

ერთ მშვენიერ დღეს მოადგილე გამომეცხადა და მომახსენა, სამმართველოდან მოდიან შესამოწმებლადო. მერე ხმას დაუწია და ჩამჩურჩულა: თქვენ რას იტყვით, სპირიდონოვიჩ, „ყაზბეგს" შევუკვეთოთ პურმარილი თუ „სალხინოს?"

— რის პურ-მარილი, კაცო, ხომ არ გაგიჟდი, არ გაბედოთ!.. — დავარტყი მუშტი მაგიდას, — მოვიდნენ და შეგვამოწმონ!

მართლაც მოვიდნენ და შეგვამოწმეს.

აჩხაკუნეს საანგარიშოები, გადაგვაწონ-გადმოგვაწონინეს ნესვ-საზამთროს გორები, მაგრამ ხელჩასაკიდი ვერაფერი ნახეს. მერე, ერთ ხანს, ჩემს კაბინეტში ისხდნენ და მასლაათობდნენ, მაგრამ, რაკი ნახეს, რომ პურ-მარილზე არ დავპატიჟე და საზამთროც კი არ გავუჭერი, ცხვირჩამოშვებულები წავიდნენ, მე კი ცხვირაწეული დავდიოდი, ზუსტად ერთ კვირას. მერე კი სამსახურიდანაც გამათავისუფლეს, როგორც გამოუცდელი და თანამდებობისათვის შეუფერებელი. ჩემს ადგილზე ჩემი მოადგილე დანიშნეს. აგერ, უკვე წელიწადნახევარია, რაც იგი კაბინეტში ზის და, კარზე ტყავგადაკრულ კაბინეტთან ერთად, საკუთარ ტყავსაც უფრთხილდება.

შ. მარმარაშვილი



ნახ. ჯ. ლოლუასი

— ორივე გამომცდელი ნაცნობი იყო, მაგრამ განტოლება შემხვდა ორუცნობიანი!

# „მიკრომინიატურიზაცია"

ნახაზების გრაგნილებითა და გამზომი ხელსაწყოებით ავსებულ ოთახში სამარისებური სიჩუმე სუფევს. თეთრხალათიანი მეცნიერ-მუშაკების სახეებზე აშკარად ამოიკითხება პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობაც და შენიღბული ნერვიულობაც, შემოქმედებითი წვაც და გამარჯვების დაუოკებელი წყურვილიც. ეს ბუნებრივიცაა: ამ დღეს ხომ წერტილი უნდა დაუსვან დიდი ხნის პროფესიულ დავას, პასუხი გასცენ უამრავ კითხვას და მათ შორის, ყველაზე პრინციპულს — ბოლოს და ბოლოს, რომელი ჯგუფია უფრო ძლიერი, უფრო შემოქმედებითი — თენგიზ ჩოჩელისა თუ ნუგზარ გაბრიჭიძის, ვის შესწევს უნარი გააკეთოს უფრო მეტი, უფრო ხარისხიანი?

მიკრომინიატურიზაცია! — აი, მათი ფიქრისა და მსჯელობის საგანი. აი, ტექნიკის ის სიახლე, რომელზეც ამდენი ღამეები გათენებულა, ამდენი შრომა გაწეულა, მაგრამ, ჯერჯერობით, მაინც ამოუწურავი რჩება.

ღრმა ფიქრის კვალი დაღივით აჩნია შეჭმუხნილ სახეებს. სიგარეტის კვამლი სვეტებად დგას ოთახში...

კვლავ მუშაობა, მუშაობა! ისმის გაურკვეველი ფრაზები, ქაღალდების შრიალი, ზოგი დგება, ბოლთას სცემს, შემდეგ წერს, მერე შლის, კვლავ წერს. წერს დაუსრულებლად...

დრო გარბის, დამთავრდა სამუშაო დღე. კუთხეში მჯდომი ახოვანი ვაჟკაცი დგება, მრავლისმთქმელი გამომეტყველებით შესცქერის ამხანაგებს. სხვებიც აიშალნენ, ერთად იყრიან თავს და დგება გადამწყვეტი მომენტიც: დაიწყო დათვლა... შვიდი, ორმოცდაორი, სამოცდაცხრა! გამარჯვების საკითხი ჯერ სასწორზეა... ოთხმოცდაერთი, ას ოცი! ჩოჩელს სახე უბრწყინავს... ას ორმოცდაორი, ას სამოცდაცხრა! — გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯია... ას სამოცდაათი, ას ოთხმოცდაათი, ას ოთხმოცდათერთმეტი!... და, აი, შედეგიც 191:186.

თენგიზ ჩოჩელის ჯგუფმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. თვითონ განსაჯეთ: სიტყვაში „მიკრომინიატურიზაცია" შემავალი ასოებით მათ ას ოთხმოცდათერთმეტი არსებითი სახელი ჩამოწერეს.

გ. ჩხაიძე

# მახინჯი სიტყვები

ქუჩაში, მოასფალტებული ეზოს წინ, გულამოსკვნილი ღრიალებდა პატარა ბიჭუნა.

— რა იყო, ბიჭიკო?! — დავასწარი გამვლელებს და ბავშვს თავზე ხელი გადავუსვი.

— დღესაც გამეპარა მამა-ა...

— სად გაგეპარა?

— იშახში-ი...

— სად?!

— იშახში, ანდა ეფაკში...

ნათელი იყო, ბავშვი რაღაც სიტყვებს ამახინჯებდა და მე, როგორც ენათმეცნიერი, დავინტერესდი ამ გარემოებით. გავიფიქრე: გამოვიკვლევ ამ სიტყვების პირველწყაროებსა და ერთ კარგ დისერტაციას გამოვაცხობ- მეთქი.

— სად ცხოვრობ? — ვკითხე ბავშვს.

— აი, იქ! — ხელი ეზოსკენ გაიშვირა.

— დედა სად არის?

— დედა თვეში ერთხელ მოდი-ის!.. — მოუმატა ტირილს.

ყველაფერი გასაგები გახდა. შემეცოდა ბავშვი, მაგრამ, უეცრად, დამავიწყდა ის დამახინჯებული სიტყვები და გავფითრდი. დისერტაცია ხელიდან მეცლებოდა.

— ბიჭუნა, სად, სად გაგეპარა მამა? — ვკითხე ფრთხილად.

— სად და ილაკნიხში, ან ინაროტსერში! — მუშტი ამოისვა ცრემლით გალუმპულ თვალში.

ბიჭოს, ეს ახალი სიტყვებია! ჯიბიდან ბლოკნოტი ვიშიშვლე.

— წამიყვანე რა, ძია, მამასთან!

— იცი გზა?

— ვიცი.

ფრთხილად გავაპარე თვალი მოასფალტებული ეზოსკენ, ბავშვი ხელში ავიყვანე და გავშრი. მისმა წინგაშვერილმა თითმა ჯერ რუსთაველის პროსპექტზე გამიყვანა, მერე კი რესტორან „ინტურისტის" კარებზე მიმანიშნა.

— აქ! — მიბრძანა ბავშვმა. თანაც გაქანდა და მძიმე კარს მიაწვა. მე გავყევი.

— რა არის აქ? იშახი? თუ.. — ვკითხე გულისფანცქალით.

— იშახს აქ რა უნდა. ეს ინაროტსერია!

ბიჭუნა გაიქცა და კარგ მოქეიფესავით მაგიდა დაიკავა, რომ სხვებს არ დაესწროთ. მერე აქეთ-იქით დაიწყო ყურება.

— აქ ვიყოთ და მამა მალე მოვა!

დავჯექი, მაგრამ ნეტავ არ დავმჯდარიყავი, სალამომდე მაინც გამყოლოდა კანდიდატობის ხარისხზე ოცნება. ქუჩისკენ გავიხედე და რესტორნის დიდ სარკმელზე ამოვიკითხე უკუღმა განლაგებული ასოები — „ინაროტსერ".

— ადექი! — წავილუღლუღე იმედგაცრუებულმა და ოდნავ თავშიც წავუთაქე, — მამაშენი სხვა ინაროტსერში იქნება.

— შეიძლება! — დიდი კაცივით თქვა მან, — სხვაგანაც დავყავარ... ან უკვე დათვრა და ახლა ავაყს სვამს.

— რას?!

— ავაყს!

— მე შენ მოგცემ ავაყს! წამოეთრიე სახლში, დალიე იაჩი და დაიძინე!

— რა დავლიო?

— იაჩი!

— პირველად მესმის, — თქვა მან, — ეგ არსად არ წერია!

ატირებული მივიყვანე სახლამდე. უეცრად დამისხლტა და ეზოში ბანცალ-ბანცალით მიმავალ, წვერმოშვებულ და თმაგაწეწილ კაცს დაეწია. ის, ალბათ, ინაროტსერიდან ან ეფაკიდან დაბრუნებული მამამისი იყო.

ომეგა ალფაიძე

# საგზური

ისე მივაღწიე სამოც წელს, ფრჩხილი არ წამომტკენია, მაგრამ, აგერ, ამ ერთი კვირის წინათ, ერთბაშად რაღაცამ შემიკრა ხელ-ფეხი.

— უი, ასე რომ გაგრძელდეს, ხომ დავიღუპეთ, ილიკო! ვინ გვაჭმევს, ვინ გვასმევს, ბავშვს ვინ წაიყვანს საბავშვო ბაღში? — შეიცხადა რძალმა.

— რა გაეწყობა, ავადმყოფობა სიყვარულივით არის, არც მოსვლას გვეკითხება და არც წასვლას... უნდა გავიჭირვოთ პატარა ხანს. — ოხვრით დასძინა ჩემმა ვაჟმა.

მკურნალმა ექიმმა ჰაერის გამოცვლა და ზღვის თბილი აბაზანები მირჩია. ამის გაგონებაზე, ვაჟიშვილსაც და რძალსაც, ლამის დამბლა დაეცათ.

— შეგვიბრალეთ, ნუ წახვალთ, ნუ მიგვატოვებთ! — ნიაღვარივით გადმოუშვა ცრემლები რძალმა.

— აბა, არ მივიღო აბაზანები?! — დაბნეული მივაჩერდი ღრმად დამწუხრებულ მონაგარს.

— შინ მიიღეთ აბაზანები, გავხსნით, ბატონო, თბილ წყალში უმაღლესი ხარისხის „ექსტრა“ სუფრის მარილს, ზედ დავუმატებთ ცოტა ლილას, იოდს, ჰოდა, ის დალოცვილი შავი ზღვა მეტი კი არაფერია!

. — კი, ბატონო, ოღონდაც მოვჯობინდე და...

საღამოს გამიმზადა რძალმა აბაზანა. ის იყო საძინებელი ოთახიდან გამოყვანას მიპირებდა, რომ მეზობელმა დაუძახა. მან ჩემი თავი ჩემს შვილიშვილს გადააბარა:

— ტურიკო, შემოგევლოს დედიკო, მიაცილე ბებიკო საბაზანოში, მე ახლავე მოვბრუნდები!

ხუთი წლის ტურიკოს ცნობარულს საზღვარი არ ჰქონდა: ასეთი პასუხსაგები დავალება არასოდეს მიუღია. საბაზანოში გაიქცა, ერთხანს იქ იჯახირა, იდიასახლისა, შემდეგ ისევ ჩემთან მოირბინა და საბაზანო ოთახისაკენ გამიძღვა.

— რა არის, ბიჭო, ეს წყალი კუპრივით რომ გაგიშავებია! — არ მესიამოვნა აბაზანაში დაგროვილ წყალს რომ დავხედე.

— შავი ზღვაა, ბებია, შავი ზღვა! — სერიოზულად მიპასუხა ბიჭმა.

ხელით მოვსინჯე წყალი. თბილი იყო. მესიამოვნა. აღარაფერი მითქვამს და ჩავწექი აბაზანაში.

კარგა ხნის შემდეგ დაბრუნდა ჩემი რძალი და საბაზანოში რომ შემოიხედა, კივილით მივარდა შეშინებულ ტურიკოს:

— რა ჩაასხი, ბიჭო, ამ წყალში?

— მელანი!

— გადაირიე?

— ლილამ არ შეღება და, აბა, რა მექნა!

— ვინ გითხრა, შე საწყალო, ლილით შეღებე წყალიო?

— შენ არ თქვი იმ დღეს?

— მე ვიხუმრე, ვი-ხუმ-რე, ბიჭო! ჩემი ცოდვა, რა ეშველება ამ საწყალს ახლა, რა წყალი დაბანს! — წაიშინა თავში ხელები რძალმა და გულსაკლავად ატირდა.

იმ საღამოს მეზობლის ქალების მთელი ლეგიონი იქნა მობილიზებული ჩემს დასაბანად. სამ საათს ჯაგრისებითა და ჯვალოს ტომრებით მხეხეს, როგორც იქნა, მომაშორეს მელნის კვალი და, დაღლილობისაგან მისავათებული, მუთაქასავით ჩამაგდეს ლოგინში.

მეორე დღეს, სადილობისას, რძალი და ვაჟიშვილი გამომეცხადნენ. შვილმა საგზური გამომიწოდა, რძალმა გადამკოცნა და მობოდიშებით ჩაილაპარაკა:

— ზეგიდან ნატურალური შავი ზღვის აბაზანებს მიიღებთ, დედამთილო! გაამოთ და შეგერგოთ!

— ისევ ხუმრობ, დედიკო? — ეშმაკური ღიმილით იკითხა ტურიკომ.

— არა, შვილო, ნამდვილად, ხუმრობის გარეშე!

**ნანა კანდელაკი**

ნახ. ვ. ჟუჟუნაძისა



**პროკურორი:** ეს კაცი ყველა გოროტებაზე ხელს აწერს!

**დამცველი:** სიცრუეა! არცერთ მაგეზღარა წერილზე არა აქვს ხელი მოწერილი.

# უშველეთ!

შეიკრიბა ნინოშვილის ქ. № 13-ის სამი მცხოვრები, სამი სართულის სამი წარმომადგენელი, მივაშენოთო სახლს ლოჯია, არზა მიართვეს ოქტომბრის რაისაბჭოს. რაისაბჭომაც მისცა დასტური.

და თქვა შოთა სამადაშვილმა, ზედა სართულის ბინადარმა, ინტელიგენტმა და განათლებულმა ადამიანმა: არ გამაჩნიაო სახსრები და თუკი მართლა მეზობლები ხართ, თქვენ ამიშენეთო ლოჯია.

აუშენეს, დაუხურეს და შეჰბედეს: ახლა გინდა ერთბაშად, გინდა თანდათანობით შენვე შემინეო შენი ლოჯია.

იწყინეს სამადაშვილებმა, ცოლმა და ქმარმა, შოთამ და თამარმა, ოცდარვა კვადრატულ მეტრს რა შემინავს, არიქა, გვიშველეთ, ფართობს გვიმატებენო!

— გიმატებენ და ღმერთმა კეთილად მოგახმაროთო, — უსურვეს „უკეთურებმა“.

რატომ ჩვენი ლოჯიაც არ შემინესო, აიწყვიტეს ცოლმა და ქმარმა, დატრიალდნენ ჯარასავით, ააგლიჯეს სახურავი და გადაუძახეს ძირს: ახლა წყალი ჩაუვათ მეზობლებს და ლოჯიები ოხრად დარჩებათო!

ამაოდ ჩივიან მეზობლები, ბოლო აღარ უჩანს სამადაშვილების თვითნებობას.

ლოჯია იქა, წვიმაც იქა!

**უილაჯო ულოჯიაო**

რედაქტორი - ნ. დუმბაძე

სარედაქციო კოლეგია: ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-78

ხელმოწ. დასაბ. 18/X-1965 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კპ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 3515 უე 03445 ტირაჟი 40000

„იმ მიზნით, რომ შეაფერხონ ... თავისუფლებისა და პროგრესისათვის, შეასუსტონ სოციალიზმის ძალები, იმ იმედით, რომ შეინარჩუნონ თავიანთი შერყეული პოზიციები ან, თუ ეს შესაძლებელი იქნება, დაიბრუნონ კიდეც დაკარგული პოზიციები, იმპერიალისტები, ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, მიმართავენ ... აგრესიას, შეიარაღებულ ჩარევას სხვა ქვეყნებისა და ხალხების საქმეებში“.

(ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე წარმოთქმული სიტყვიდან)




შემოდგომის მწერი იკბინება!